

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტის აღწერა: მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი

1	გამოშვების წელი	2012 წელი და ზემოთ
2	ცხენის ძალა	არანაკლებ 260
3	გადაცემათა კოლოფი	ავტომატიკა ან ტიპტრონიკი, არანაკლებ 5 საფეხურიანი
4	საწვავის ტიპი	ბენზინი
5	კარები	5 (4x1)
6	საჭე	მარცხნივ
7	ძრავის მოცულობა	არანაკლებ 3800 სმ ³
8	წამყვანი თვლები	4x4
9	საწვავის წვა 100 კმ-ზე	არაუმეტეს 15 ლიტრი
10	ფერი	რუხი ან ვერცხლისფერი
11	გარბენი	არაუმეტეს 100000 კილომეტრი
12	სიგრძე	არანაკლებ 4800 მმ
13	სიგანე	არანაკლებ 1900 მმ
14	სიმაღლე	არანაკლებ 1800 მმ
15	ელ. შუშები	4
16	სალონი	ნაჭერი ან ტყავი
17	უსაფრთხოების ბალიში	არანაკლებ 4
18	აუცილებელი მოთხოვნა	ABS (მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
19	აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი და კლიმატკონტროლი
20	აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი

21	აუცილებელი მოთხოვნა	ჰიდრავლიკა (საჭის გამაძლიერებელი)
22	აუცილებელი მოთხოვნა	შუშების ელ. გათბობა (მინიმუმ საქარე მინა)
23	აუცილებელი მოთხოვნა	დისკები - ალუმინის
24	აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
25	აუცილებელი მოთხოვნა	4x4 მექანიკური ან ავტომატური ჩართვა-გამორთვის ფუნქციით
26	აუცილებელი მოთხოვნა	სავარძლის სიმაღლის მარეგულირებელი
27	აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის მარეგულირებელი
28	აუცილებელი მოთხოვნა	სარკების ელ. რეგულირება

2. მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში, ტექნიკურად გამართული, რაც დადასტურებულ უნდა იქნას კვალიფიციური ტექნიკური მომსახურების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტით. ავტომობილის სალონი უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში.

3. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე.

4. საქონლის მიწოდების ადგილი - სსიპ "შ.ს.ს-ს მომსახურების სააგენტო" (ავტომანქანის შემსყიდველ ორგანიზაციაზე რეგისტრაციის ადგილი).

5. სატენდერო წინადადების ფასი:

5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის ავტომანქანის განბაჟების საფასური და შემსყიდველ ორგანიზაციაზე რეგისტრაციისათვის საჭირო სსიპ „შ.ს.ს-ს მომსახურების სააგენტოს“ მომსახურების ყველა საფასური ერთად, გარდა დამატებითი ღირებულების გადასახადისა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მსუბუქი ავტომანქანების მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-საგან).

5.2 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საუკეთესო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა (წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ინვოისი, ან ხელშეკრულება შემსყიდველის მოთხოვნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

6. ანგარიშსწორების პირობები:

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით: შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების (თანხის გადარიცხვის შესახებ) გამოცემიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

8. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უცხოურ ენაზე ატვირთული ყველა დოკუმენტს ან/და ინფორმაციას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

9. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური დავალების 1-9 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემებია:

1. ფასების ცხრილი შევსებული სრულყოფილად - დანართი №1-ის შესაბამისად.
2. საქონლის ტექნიკური პარამეტრები, შევსებული სრულყოფილად - დანართი №2-ის შესაბამისად.
3. მისაწოდებელი საქონლის ფოტო-მასალა
4. კვალიფიციური ტექნიკური მომსახურების ცენტრის მიერ გაცემული მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია დაზუსტებას არ ექვემდებარება, თუ არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი კომპანიისა და მარკა/მოდელის შესახებ (მოთხოვნილია ხარჯთაღრიცხვის შესავსებ ფორმაში), ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი).